№ 103 მაისი 19, შაბათი 1890 მაისი 19, შაბათი № 103

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1890

ამ ნომერში რვა გვერდია

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ქართული თეატრი

გაიმართა ხელის-მოწერა გამოჩენილის ტრაგიკოსის **ერნესტო როსსის** და იმის დასის თითოეულ წარმოდგენის ბილეთების ცალკე.

შაბათს, 26 მაისს გაჰმართავენ
1 წარმოდგენას, მე-2 აბონემენტისას
**მეფე ლირი.**

კვირას, 27 მაისს
1 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**ოტელო.**

სამშაბათს, 29 მაისს
მე-2 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**ლიუდოვიკ მე-XI.**

ხუთშაბათს, 31 მაისს
მე-3 წარმოდგენა 2 აბონემენტისა
**ჰამლეტი.**

შაბათს, 2 თიბათვეს
მე-4 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**კინი.**

კვირას, 3 თიბათვეს
მე-2 წარმ-დგენა 1 აბონემენტისა
**მაკბეტი.**

სამშაბათს, 5 თიბათვეს
მე-3 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**დამნაშავის ოჯახი.**

ხუთშაბათს, 7 თიბათვეს
მე-4 წარმოდგ. 2 აბონემენტ.
**კორიოლანი.**

შაბათს, 9 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**ნერონი.**

კვირას, 10 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**შეილოკსა,**

ანუ ვენეციელი ვაჭარი.

ფასები აფიშებზეა გამოცხადებული. ბილეთებში აღებული ფული ბ-ნის როსსის მოსვლამდე დასითურთ საკომერციო ბანკში ინახება. კასსა ღიაა დილის 10-დგან 2 საათამდე და საღამოს 5-დგან 7 საათამდე.

(10—6)

## ახალი ამბავი

*** 18 მაისს დილით ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა თითქმის ოთხი საათი. მიზეზი დაგვიანებისა იყო გუშინდელი ნიაღვარი, რომელმაც გააფუჭა ლიანდაგი რკინის გზისა მამხორისა და განჯას შუა.

*** სამეურნეო საზოგადოებას ლაგოდეხიდგან სწერენ: წელს აბრეშუმის ჭიას კარგი ამინდი არ დაუდგათ. განუწყვეტლივ სწვიმს, ჰავა იცვლება და ტაროსის დაუდგრომლობა ხომ ჭიისათვის ფრიად მავნებელია. სოფ. ბელაქანსა და ყაბახჩოლს ჭიამ უკვე დაიწყო პარკის კეთება. ბელაქნელებმა წელს მრავლად იყიდეს უკეთესის ჭიის თესლი ალოიზისგან, ნუხელებისგან, ზაქათალის საჭიო სადგურიდგან და ამას გარდა ბ-ნ აფრიკიანისაგან. მარტო აფრიკიანმა ბელაქნელებსა და ყაბახჩოელებს მიჰყიდა 5 გირვანქამდე ჭიის თესლი.

*** იმავე საზოგადოებას საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან ეკითხებიან, რომ გვსურს მივიღოთ მონაწილეობა ტაშკენტის სამეურნეო გამოფენაში და შეგვატყობინეთ, როდის და რა გზით წარუგზავნოთ ჩვენი ნაწარმოები ტაშკენტშიო, ან და თითონ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება ხომ არ იკისრებს ჩვენის ნაწარმოების წარგზავნასაო. ამ გვარი თხოვნა საზოგადოებას გუშინ მოუვიდა ლაგოდეხიდგანაც. როგორც შევიტყეთ, საზოგადოება ამ გვარ ნივთების მიღებასა და ტაშკენტის გამოფენაზე წარგზავნას თითონ არა კისრულობს.

*** თელავი: პირველ მაისს გასტეხეს დუქანი თელავის მოქალაქის ილია იმერლიშვილისა და წაიღეს ფული და ნივთი, ღირებული 244 მანათად. ბოროტ-მოქმედნი ჯერაც არ შეუპყრიათ.

*** სოფ. არაფლო (ბორჩალოს მაზრა): არაფლოში მცხოვრებმა მირზა-აბდულ-ოღლიმ დასჭრა ხანჯლით თავისი ცოლი საკინა-ალა-ქიზი. საცოდავს სამგანა აქვს ხანჯალი დაკრული: ორჯელ მარცხენა ხელზე, ერთიც გულზე, მარჯვენა ძუძუს ქვემოდ. ბოროტ-მოქმედი დაიმალა. გამოძიება სწარმოებს.

*** სიღნაღი: აქ ცხრა მაისს წარმოდგენა გაჰმართეს საზოგადო კრებაში დარბაზში, საქველ-მოქმედო აზრით, საქალაქო სასწავლებლის ღარიბ შეგირდთა სასარგებლოდ. სულ გაიყიდა ბილეთები 52 მანათისა. დაიხარჯა 36 მან. 80 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 15 მან. 20 კაპ., რომელიც გადაეცა სკოლის ინსპექტორს.

*** ბორჯომი: ეს სამი კვირაა, რაც ბორჯომელებს ძილს გვიფრთხობს ბრბო ყაჩაღთა. გული გულის ალაგას არა აქვთ ხაშურ-აბასთუმნის გზატკეცილზე მოსიარულეთ. 15 მაისს გაძარცვეს ერთი ხაშურიდგან მომავალი თათარი, წაართვეს რაც მოახვლეს და მოუკლეს ცხენი. მეორე დღეს საწყალი თათარი ბორჯომში შემწეობას ითხოვდა გულ-შემატკივარ საზოგადოებისაგან. რამდენს სხვას დაეცნენ კიდევ, მაგრამ სიცოცხლე-კი არავისი უმსხვერპლიათ. რა თქმა უნდა, აქაური პოლიციის ბოქაული თავის ჩაფრებით ფეხზე დადგა. გუშინდამ ბორჯომიდგან გავიდნენ და თითქმის 13 ვერსის სიშორეზედ ხადარაჯოდ ჩაუსაფრდნენ, ყაჩაღები გზა-ტკეცილზედ გამოჩნდნენ თუ არა. გაიმართა თოფის სროლა, რომლის შედეგი იყო სიკვდილი ერთის ჩაფრისა. როგორც ამბობენ, ერთი ყაჩაღიც არამძიმედ დაჭრილა. ყაჩაღნი გაიქცნენ და თავის შემდეგ კვალიც არ დაუტოვებიათ, ხოლო ცხედარი დღეს დილას აქ ჩამოასვენეს.

ამბობენ, ყაჩაღთაგანი ერთი ქართველია, აქ უმსახურნია ტყის მცველად და მისი მოხელეთვაც არც ისე საადვილო არისო, რადგან, როგორც ტყის მცველად ნამყოფმა, ყველა ბილიკი და უშიშარი თავ-შესაფარი ადგილი ზედ-მიწევნით იცისო. მეორე სომეხია, ჯარიდგან გამოქცეულიო. მესამე-კი თათარი, საპატიმროდგან გავარდნილიო. ყველანი, ამბობენ, თავზე ხელ-აღებულები არიანო.

პოლიციაც ვერას გახდა, რადგან მის განკარგულებაში ძლიერ მცირე რიცხვია კაცებისა, რომელთაც მათი გამკვლავება შეეძლოთ. ამბობენ, ყა-

## ფელეტონი

### ცეცხლის გაჩენა

წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში*)

თურმეტ ქრისტეშობის თთვესა
უცებ დამაკლდა თვალსაო,
ნუმც დავსწრებივარ იმ დღესა...
ვაჰმე ნეტავი მამკლაო;
არ უყივლავის მამალსა,
მეხი დაგვადგა თავსაო,
წინამძღვრიანის სახლებმა
ალი მიარტყა ცასაო;
ვინცაი ვართ იმის სახლშია,
თანაბრივ შიგამც ჩავეწვნაო,
შავეღირე და ვერ შაველ,
სული ტკბილია, რა ვქნაო.
წინამძღვრიანის ბიჭები
არა ჰზოგავენ თავსაო,
ძლიერ ეცადნენ საწყლები,
ცეცხლი ჩაადენს ძალსაო;
გვერდს ედგა მასწავლებელი,
კბილით ამტვრევდა ქვასაო;
ისეთი ფერი დაედვა,
არც ნახევარი მკვდარსაო.
კნიაზიც[1]) არის ავათა,
უბედურება მოხდაო,
გამაიყვანეს ხელითა,
ფეხზედ კი ველარ ჩადგაო;
დასტირის ევგენიაო[2]),
ნეტავ მარტუამ რა ვქნაო.
ნუ მოჰკლავ დამბადებელო,
სკოლას ნუ შაჰხსნი კარსაო;
ყმაწვილებ დაობლდებიან,
მასკვლავ მასწყდება ცასაო.
მაშინდელ იმათ ნახადი
არ გაეძლება ქვასაო.
ზედ არის ფშაველის ყმაწვილი,
არ იცის საით შახდაო;
სახლო, შენი ვარ გაზრდილი,
რად არ დაგაკლავ თავსაო;
ქუდ ჩაუვარდა ცეცხლშია,
კინაღ თავადაც ჩაჰყვაო;
დაბლიდამ დედა შესტირის,
ბალღო, ნუ დამცემ ცასაო,
სახლიც, შენ გამზრდელ, მეწვება,
შენაც მანებებ თავსაო?
ბატონს აქ ველარ დავხედები...
ამ წყლის წაღებულმ რა ქმნაო!
ხალხს თავად შაატყობინა,
შუქ საგურამოს ჩადგაო.
ზვიადლიშვილი ნოდარი
საით მოვიდა აქაო,
ავიდა სასახლეზედა,
კაცი ვერ დაჰკრავს თვალსაო;
ძლიერ ეცადა ყმაწვილი,
ალი ევლება თავსაო,
დავიწვა, ჟამი არ არის,
ძმა რათ უნდ არის ძმასაო.
პეტრე ავათა ყოფილა,
იმით ვერა სჭერს მხარსაო,
გულს ვერ გაუძლავ, მოვიდა,
სახლ კარს ავლებდა თვალსაო;
ლაპარაკის თავ არა აქვს,
სულ ვერ იღებდა ხმაო,
ვინ იცის რასა ფიქრობდა,
ცრემლი უწყავდა წყალსაო.
ყოჩაღ წინამძღვრ შვილებო,
ძმასასა სტირით სახლსაო;
გაიგებს ჩვენი ბატონი,
არ დაინანებს თავსაო.
ოთხის სოფლის ხალხ მოვიდა,
თავი თავს უდევს ჯარსაო...
ისეთსა სჩხდა სასახლე,
ხმა ეყრება ცასაო;
ველარვინ რა უშველა,
შეშინდა ხალხი, შაკრთაო;
დაის და ტირის ბაბალე,
ავში იცემდა ქვასაო:
„უშველეთ, თქვენი ჭირიმე,
პატრონ არა ჰყავ აქაო“.
გაუგავ ლედელსა, მოვიდა,
ხელით იგლეჯდა თმასაო;
წყლის კვალად ცრემლი დაასხა,
თავ-დანებებულს სახლსაო;
სოფლელებს შემოუტია:
თქვენთვის რამ ქრისტე გაწყრაო,
კიდენ რა მოანარჩომეთ,
ცეცხლ ეკიდება სახლსაო.
ეგეც ყორალად იქცევა,
ლვდელს რო დიაკვან მოჰყვაო,
თავზედ ამტვრევდა კაკალსა,
ვინც რომ ცუდათა ნახაო.
ეს თორმეტ-ოთახიანი
თოვლის წყალივით გაქრაო.
ვაჰმე, გაიგებს პატრონი,
მაშინ არა მაქვს ახსნაო;
არა ჰყავს ჯავრში მეშველი,
რა ქნას მარტუამ კაცმაო...
ქალბატონს[3]) ნურავინ ეტყვით,
ყველგან მიაგდებს ხმასაო;
ვერ შესძლებს სახლის დაწვასა,
სულ დამანებებს თავსაო.
შენ იცი, წინამძღვაროო,
გულსა ნუ მისცემ ჯავრსაო;
ეხლა გაიგებს ქვეყანა,
თუ მაგარს გასწედი მკლავსაო;
ცის ნაპირამდინ წავიდა,
რაც შენზედ საქმე მოხდაო:
მოვიდა მძიმე ზარალი...
ბევრსამც კეთილსა ნახაო,
ბლომადა გვყანან ამქარნი,
სუყველა გიჭერს მხარსაო;
მალე ამართებს ბატონი,
ნასახლარშია სახლსაო!
ვინაც მაგაზედ გალაღდა,
მუდამამც იცვამს შავსაო.
ისრევა ჰქვიან ბატონი,
სახელ ხომ აღარ ახდაო;
არა ჰყავს წვრილებ შვილები,
გარეთ არავინ დარჩაო.

*) ეს ლექსი გამოუთქვამს ფშავლის დედაკაცს ბაბალე ივანეს ასულს მინდოდაურისას, რომელიც პურის მცხობლად არის სკოლაში და რომლის შვილიც რამდენიმე წელიწადია ამ სკოლაში სწავლობს.

რედ.

[1]) თ. ერ. ნაკაშიძე, გამგებელი სკოლის.

[2]) მასწავლებელია სკოლისა,

[3]) დედა ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილისა.

---

### დაუსრულებელი ამბავი

ანუ

### თელაველი ოტელლო.

დრამა ოთხს მოქმედებად

მეოთხე მოქმედება

(სცენა პირველ მოქმედებისა)

(შემდეგი*)

#### გამოსვლა XII

არტემა მარტო

(სცენა რამდენიმე ხანი ცარიელია, მერე შემოდის არტემა შუა კარით).

არტემა. სად დაიფანტნენ ასე ყველანი ერთ წუთაში? ვანოს წაიყვანნენ დასაწვენად. ეხლა ბიჭა არა უჭირს-რა, ეხლა, გონია, მე მიჭირს: წინათ მინდოდა თელავიდგან წასვლა,

*) იხ. „ივერია“ №№ 86, 87, 88, 89, 90, 93, 94, 95, 96, 98 და 99.

ზაბი რუსები უნდათ მოასხანონ, თორემ, თქვენი მტერია, თუ ამ მოკლე ხანში როგორმე ბოლო არ მოუღეს, მათის შიშით, საქმეა საზაფხულოდ ვინმე გვესტუმროს.

** ბორჯომამდე: აპრილში გაძარცვეს ავაზაკებმა სამი ჩოდარი, ერთიც დასჭრეს და 350 მ. ფული წაართვეს. 14 მაისს გორიდგან წავიდნენ ბორჯომს ოთხი ჩაფარი და ბოქაულის თანაშემწე.

** სურამი: უწესოებანი სურამში კვლავ ბევრ ნაირია. მოსათმენი არ არის მეტადრე ის უწესოება, რომ ერთად-ერთს ქუჩაზე გამართულია ბლომად დუქნები და სამიკიტნოები, სადაც გაუთავებელი ქეიფი და ვარხალალოს ძღრიამული ისმის დილიდამ საღამომდე, მეტადრე ზაფხულობით. ამ დუქნებსა და სამიკიტნოებში ხშირია ჩხუბი, ხანჯლების ტრიალი და სხვა-და-სხვა უბედურება. ბევრს გაუტყდა აქ თავი ამ ჩხუბებში, ბევრი დაიჩეხა, ბევრი გამოესალმა სამუდამოდ წუთი-სოფელს და ბევრს საუკუნოდ ციმბირი გადაუწყდა. საჭიროა ამ ადგილებს სასტიკი ყურადღება მიექცეს, რომ ასეთი უბედურება საკვლაოდ მაინც იქმნას აცილებული.

** ხაშური: ქურდობა და ავაზაკობა კვლავ ხშირია აქეთ. ზოგიერთ ოჯახს ორ-ორჯელ ეწვიენენ ქურდები და, რაც პირველში დააკლდათ, შემდეგ იჯერეს გული. ორჯელ გაქურდეს, მაგალითად, კორსაკის ოჯახი; ორჯელ გაუტეხეს ზედ პირველს ქუჩაზედ დუქანი ოქროპირ შერაის; ორჯელ გაუტეხეს აგრეთვე ჯერ სამზარეულო და მერე დუქანი ან. ტეროვსა და გ. კარნაკასა; გაქურდეს მაშინისტი ფელდოროვ; ამ დღეებში გაუბედურეს ქურდებმა და ცალიერზე დასვეს სრულიად რაჭიდამ მოსული კაცი ომიაძე, რომელიც 14—15 წელიწადია აქ იწვის და იდაგვის და მოუგროვებია 800 მან. ფული. ეს ფულიცა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალიც ყუთში ჰქონოდა შენახული. ღამით აჰხადეს ქურდებმა ჭერი იმის დუქანს, ჩაიდნენ შიგ და წაიღეს ყუთი. მეორე დღეს ცარიელი ყუთი იპოვეს აბაიაძის წისქვილთან.

** ფოთი: აქაც ითხოვენ, ვისგანაც ჯერ არს, ნოქრები, რომ კვირა-უქმე დღეებში დუქნები და მაღაზიები დაკეტილი იყოსო. არ იქნებოდა ურიგო, რომ ფოთის საქალაქო თვით მმართველობამ და პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ საბუთიანს თხოვნას.

** ჭოპორტი (დუშეთის მაზრა): გაზაფხული გოლვით დაიწყო. შემდეგ აღდგომის ხანებში დარი იცვალა და წვიმებმა მოუხშირა. ხან გამოშვებით ცივი დღეები და ღამეები დაგვიდგა. ვშიშობდით, ვაი თუ ამ სიცივეს სეტყვაც მოჰყვესო. მაგრამ ღმერთმა სეტყვა ჩვენ აგვაცდინა და მხოლოდ საგურამოს ველზე ზოლად გადიარა და სოფლები: ზეიდღიანთკარი და სხ. დააზარალა. დაზარალებულ სოფლებს გარდა დანარჩენ სოფლებში მოსავალი მშვენიერია. ყანები მშვენიერად ბიბინებს. ქერები მალე შემოვა და ივნისის დამდეგს გაიჰკრება. ვენახებს კარგად გაესხია, შარშანდელზე გაცილებით მეტი. ჯერ-ჯერობით ვენახებს არავითარი ჭირი არ ეტყობა. საქონლის ჭირი აგრეთვე არ არის. ხალხი ჯანმრთელად არის. გაზაფხულის დამდეგს-კი წითელა მძვინვარებდა და ბლომა ხალხი იმსხვერპლა. მარტო სოფელ ქართლელებს აღდგომის დღესასწაულებზე ერთს ოჯახში სამი სული ერთ დღეს მოუკლა წითელამ. შარშანდელ მოუსავლობისა გამო დღეს ხალხის ყოველ გვარი სარჩო ფრიად დაძვირდა და, თუ სადმე იშოვება კიდევ ხორბალი, ან ღვინო, მამასისხლად ისყიდება. ხორბალი წინა წლებში ისყიდებოდა კოდი რვა-ცხრა აბაზად, დღეს-კი სამ მანათად და სამ აბაზამდის ავიდა; ღვინო თუნგი ისყიდება 2 მანათად, წინად-კი ისყიდებოდა 60—70 კაპ. მსხალს, ატამს, ნუშს მშვენიერად გაესხა. ვაზი შარშანდელ ზამთრის სუსხისა გამო ბლომად გახმა.

** ბ-ნ იასონ დავითის ძემ ცაციშვილმა შემოსწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთსაცავს შემდეგი წიგნები:

1) შემოკლებული მოთხრობა ქართველთა ერთა ქცევათა და ჩვეულებათათვის და ჟამი-ჟამად ცვლილებათათვის მათთა.
2) მეტაფიზიკის ნაწილი, გონებითი ღვთის-მეტყველება.
3) ლოღიკა ფილოსოფიურის სწავლისათვის.
4) ნაწილი რიტორებისათვის.
5) საზღვარი ზმნისა.
6) საყოფაქცეო სჯა.
7) საზოგადო მოგონება ალგებრისათვის.
8) მიუცილებელი სხვერპლის შეწირვისთვის ყოველთა საუკუნეთა შინა მხარედ თითოეულისა კაცისა.
9) ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა საბა განმწმენდელისა.
10) დაკარგული სამოთხე (პოემა), გალობა პირველი.
11) ღომერის ილიადა, გალობა მეორე.
12) ძველის რომის ერნი.
13) ბიოგრაფია თავადის პავლე დიმიტრის ძის ციციანოვისა.
14) სიტყვა ყოვლად სამღვდელო გერმანე ეპისკოპოზისა აფხაზთა.
15) ცხოვრება წმიდისა თეოდორესი.
16) ოდა ღვთისა.
17) გალობანი სინანულთათვის, თქმული დავით მეფის აღმაშენებლისა.
18) ვახტანგ მეფის კანონთ-დება.
19) სია რაოდენიც ეკკლესიის ნივთნი და შესამოსელნი შემატებულნი არიან პატრიარხის ანტონისაგან.
20) საპატრიარხო ყმათა ზედა ბაჟთა განწესებანი.
21) დღეს ქვეყანა აღსრულ არს გულის წყრომასა ზედა.
22) საღმრთო სტიხნი, გაიოზ არხიდიაკონის მიერ.
23) კურთხევა მღვდლისა.
24) ალიაქბე, შედგენილი დიდებულის ევროპიელის ასტრონომის ტიხობრაღისა მიერ, თარგმ. დავით ესტატის ძის ციციანოვის მიერ.
25) ქართლის ცხოვრება ვახუშტისა.
26) მხედრულად ნაბეჭდი სამოციქულო.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უძღვნის შემომწირველს.

## ანნა ბესარიონის ასულის მუსხელაშვილის გარდაცვალების გამო

(წერილი ქუთაისიდგან)

ეს-ეს არის გადაიხადეს პანაშვიდი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ახლად მიცვალებულის ანნა დოლობერიძის ქალის სულის მოსახსენებლად ამავე სკოლის მასწავლებელთა, მზრუნველ კომიტეტის წევრთა და განსვენებულის პატივისმცემელთა თანადასწრებით. რვა წლის წინად განსვენებული იყო ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველოს თავმჯდომარედ.

ანნა ბესარიონის ასული მუსხელაშვილისა ეკუთვნოდა ქართველ ქალთა იმ მცირე რიცხოვან დასს, რომელიც თავის კერძო ინტერესებს ძალიან ნაკლებად მისდევს და რომელსაც შეძლებისადა გვარად საზოგადოების სამსახური განუზრახავს. ყველამ ვიცით, რომ დღეს ჩვენში სწავლა-განათლების სურვილი ფრიად დიდია, მაგრამ სიღარიბე და უსაშუალობა კიდევ უდიდესი. მშობლებმა თუ თავიანთი შვილები რომელსამე სკოლაში მიაბარეს, შემდეგ თითქმის სრულიად უპატრონოდ სტოვებენ: ან არ იციან როგორ უპატრონონ, ან საშუალება არ შესწევთ. ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი მოსწავლე დაიღუპებოდა უპატრონობით, რომ თითო-ოროლა გულ-შემატკივარი ქალი, ან კაცი არ მოიპოვებოდეს საზოგადოებაში. ამ გვარი იყო ანნა ბესარიონის ასულიც. ის იყო ღარიბთა და გაჭირებულ მოსწავლეთა საერთო დედა, ის აწვდენდა თავის მზრუნველ ხელს ყველას, ვინც-კი საჭიროებდა შეწევნას და დახმარებას, განურჩევლად ნათესაობისა, ნაცნობობისა და წოდებისა. ამ სტრიქონების დამწერს თავის თავზე გამოუცდია აწ განსვენებულის გულკეთილობა, სიუხვე, დედობრივი სიყვარული, თავისის თვალით დაუნახავს მისი ხელ-გაშლილობა, მისი თავ განწირული მზრუნველობა ყმაწვილ სწავლა-განათლების მეძიებელ ღარიბთათვის.

ამიტომ იყო, რომ ანნა დოლობერიძის ქალის ჯერ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და მერე მისის სიკვდილის გაგონებამ ქუთათურებს გული დაგვწყვიტა.

ამისთანანი ღირსნი არიან ღრმა პატივისცემისა! ამისთანათა საფლავი ღირსია, რომ ზედ გულწრფელი ცრემლი დაეფრქვას!..

საუკუნოდ იყოს მისი ხსენება!

სილოვან

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

აფხაზეთი, 24 აპრილი. კოდორის „უჩასტკის" ს. გუფუშაც ეწვია მისიონერად გამოგზავნილი არხიმანდრიტი, მამა ამბროსი, რომელმაც დაიარა მთელი აფხაზეთი. გუფუში მ. ამბროსის უნდა დაეთვალიერებინა აქაური ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლა, რადგან იგი ირიცხება ინსპექტორადაც ამ უწყების სკოლებისა, რომელიც მისს სამისსიონერო რაიონშია მოთავსებული... სკოლაში მოსწავლეების სწავლა ცოდნით საკმაოდ კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მ. არხიმანდრიტი გააოცა იმ გარემოებამ, რომ სკოლაში სულ 14 ბავშვი-ღა სწავლობს, რომელთაგან რევიზიის დროს კლასში დახვდა 10—12. თუმცა სკოლა აფხაზეთში არსებობს და აფხაზთათვის, მაგრამ

---

ამ საათში აი დიდ ხორველაც ვერ გამაგდებს აქედან. რა ქალია! ქიზიყურ ვირივით რო გადამრევს ხოლმე! კაპლოას კრივში პირდაპირ უდგები ხოლმე და გძელ-თმიან ქალს-კი ვერ დაველაპარაკებივარ ადამიანურად! რუსის ქალისთანა გულადი ბიჭებთან ვინ არი, მაგრამ ამისთანა ხო არ შეიძლება? შენი სულისა, სოლომანასაც უარი უთხრა! ერთი იმის ყვინჩილა თავი დამანახა, როცა სოფო ეუბნებოდა, თუ მამწყდი თავიდამ, არ მამწონხარო! განათლებული უნდა მაგას, ის ყურუმსალიც-კი ვერ მაიწონა. მე ხო უთოოთ ვეჯავრები ჯოჯოხეთივით! ან რა ვიცი? სად მისწავლია? სირაჯობის მეტი რა გამეგება? იმიტომაც მიყურებს ისეთი ზიზღით! რო გათხოვდეს, რა უყო? (დაფიქრდება) თუ არ მოსწონხარ, გიჟია? მეც გავტუტუცდი. მოვშორდე აქაურობას, თორე უფათერაკოთ არ გადავრჩები ამ ოხერ თელავში! (ფეხის ხმა მოისმის) დავიღუპე, მოდის! (ტახტზე ჩამოჯდება)

### გამოსვლა XIII

იგივე და სოფო

შემოდის შუა კარებიდგან

სოფო. (ცოტა შეკრთება, მერე მივა და სტოლთან დაჯდება) როგორ დაღონებული ხართ, უქეიფოდ ხო არა ბრძანდებით?

არტემა. ავადმყოფობა რა ჩემი ხელობაა? მაგრამ...

სოფო. მაგრამ რა?

არტემა. მაგრამ? (ყოყმანობს, უცებ) იცი, სოფო, რა უნდა გკითხო?

სოფო. რა უნდა მკითხოთ?

არტემა. დაიფიცე, რო არ გამიწყრები!

სოფო. დარწმუნებული ვარ, რო ისეთს არაფერსა მკითხავთ, რო საწყინოდ გაგეიხდეს.

არტემა. არა, მაინც დაიფიცე!

სოფო. თქვი, ყმაწვილო, მე ცუდ უბრალოზე წყრომა არ ვიცი!

არტემა. არა, მაინც დაიფიცე, თორე ერთ სიტყვასაც ვერ ვიტყვი.

სოფო. აჰა, ჩემმა მზემ!

არტემა. ღმერთი დაიფიცე!

სოფო. რა ცუდი ხასიათი გქონია! აჰა, ღმერთმანი!

არტემა. იცი, რა უნდა გკითხო?..

სოფო. კარგი, იტყვი თუ არა?

არტემა. ეხლავ. ერთი ეს-კი მითხარ, მართალს მეტყვი?

სოფო (წამოდგება და არტემაც წამოდგება) რა ნაირი გულის გაწყრილება გცოდნია! კარგი, ჰო!

არტემა. მაშ ნამდვილად მითხარ, არ გეჯავრები სიკვდილივით?

სოფო (გაიცინებს) რაზე მოგივიდა ეგ ფიქრად?

არტემა. ძალიანაც ნუ გაიცინებ, მართალი თქვი!

სოფო. თქვენ ჩემთვის ცუდი არა გიქნიათ-რა, რაზე უნდა მეჯავრებოდეთ?

არტემა. აკი ვამბობდი, რო ვეჯავრები-მეთქი. ზედ არ გეტყობა, დამცინი?

სოფო. არა, ყმაწვილო. ჩვენში ისეთი რა მამხდარა, რო მოძულებაზე მისულიყოს საქმე?

არტემა. არა, ვერ დამაჯერებ, თვალებზე გატყობ. ისე მიყურებ, როგორც ლეკი ღორის ხორცს!

სოფო. კარგია, ყმაწვილო! შენ ეს მითხარ, კავკავში როდის მიხვალ?

არტემა. შენ რათ გინდა, მე როდის მივალ! მითომ შენთვის სულ ერთი არ არი!

სოფო. თუ გკითხამ, მაშ სულ ერთი არა ყოფილა, თორე ელაპარაკოდ ძალიან ენა მექავება!

არტემა. კავკავის რჯულიც დაიქცა, მე იქ წამსვლელი არა ვარ! შენ ის დამიფიცე, რო არ გეჯავრები.

სოფო. ახა, ღმერთო ჩემო! აჰა, ღვთეების მადლმა, თელეთის მადლმა! არც ეხლა დამიჯერებ?

არტემა. ეხლა-კი მჯერა! მაშ შენთან ერთი სათქმელი მაქვს, ხუმრობა-კი არ გეგონოს?

სოფო. კიდევ დაიწყობ თავიდამ?

არტემა. განა ხუმრობა საქმეა?

სოფო. ჰო, მერე რა გინდა? კიდევ დავიფიცო, რო მართალს გეტყვი?

არტემა. განა იმისთვინა გკითხე, რო გამჯავრებოდი? არა, დაო, გეტყობა, რო ბაყაყივით გეჯავრები!

სოფო. (მიახლოვდება) რა ნაირი დედაკაცური ხასიათი გქონია! თქვი ერთხელ და გაათავე!

არტემა. როგორ გეჯავრები, ზიზღისაგან სახე გელმიჭება! განა ისეთი რა ვარ?

სოფო. იტყვი თუ არა, რა სათქმელი გაქვს?

არტემა. ჯერ ერთი კიდევ დამიფიცე, რო არ გეჯავრები!

სოფო. (მობრუნდება) არც ძალიან საჭიროა! (თავის ადგილას დაჯდება გაბუტული).

არტემა. რა ღმერთ-გამწყრალი ვინმე ვარ! (მიუახლოვდება და მუდარებით) სოფო, ღვთის მადლმა, ჩემმა მზემ, შენი გაჯავრება არ მინდოდა! ნუ ჯავრობ, თუ ღმერთი გწამს, ხმა ამაიღე! გული ნუ გამიხეთქე, ქალო! მაპატიე, თუ ქრისტე გწამს, რა არი, ნუ მამკალ სალ-სალამათი კაცი! არ გინდა, რაღა, ხმა გამცე? რა ნაირი ბრიყვი ვარ, რა დიდი ვირი ვარ! გაუზრდელი სირაჯი ვარ, ქალის ყადრი არ ვიცი! ოღონდ ნუ გამიწყრები და რაც გინდა, მამთხოვე! თუ გინდა, ეხლავ თავს მოვიკლამ! (აიღებს ხანჯალს).

სოფო (წამოდგება) ჯერ ეგ ხანჯალი დადე! (არტემა დასდებს) შაგირიგდები, თუ მეტყვი, რაც უნდა გეთქვა ჩემთვის.

არტემა. იცი, რა ძნელი სათქმელია?

სოფო. შენი ნებაა, შენ შენთვის, მე ჩემთვის. მხოლოდ იცოდე-კი, რო სიტყვის ასრულება არა გცოდნია.

არტემა. მე ნათქვამი არ ავასრულო და მერე შენ მოგატყუო?

სოფო. რაღა მე! გული-კი გამისიე და, რა გამოვიდა?

არტემა. გეტყვი, გეტყვი, ეხლავ გეტყვი! (დაფიქრდება)

სოფო. რაღას ელოდები? დედაჩემი რო შამოვიდეს და მარტონი გვნახოს, სუ სულს ამამართმევს შინა! თქვი ჩქარა!

არტემა (ყოყმანობს) სოფო!.. თუ არ გეჯავრები... მოი... (მოისმის ფეხის ხმა)

სოფო. რა უშნო რამა ხარ, აგე მოდიან!.. ეჰ, უხეირო!

არტემა. მერე გეტყვი, სოფო, ღვთის მადლმა! ეხლა-კი მაგათი თავი არა მაქვს! (საჩქაროდ გადის პირდაპირ)

სოფო. ეჰ! (თავისთვის) ნეტავ, რა უნდა მითხრას? (ჩაფიქრდება) არა, ტყუილია! ნეტავი...

ა. ბენაშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეები თითქმის ნახევარი მეგრელები არიან... სკოლის შენობაც ფრიად გაფუჭებული დახვდა ინსპექტორს.

ამიტომ დიდ-ძალ შეკრებილ ადგილობრივ აფხაზებთან საკუთრად სარწმუნოების და ზნეობის გარდა სკოლისა და სწავლა-განათლების საქმესაც დიდი ყურადღება მიაქცია მ. ამბროსიმ... სამწუხაროდ მეჩვენაო, სთქვა სხვათა შორის მ. არხიმანდრიტმა, რომ თქვენ სწავლის გემო და მისი შეძენის სურვილი ჯერაც გახსნილი არ გქონიათო. გინდათ, შეაკეთეთ სკოლის შენობა რიგიანად და შემოიყვანეთ 20—30 მარტო თქვენი შვილები, არა-და ავიღებთ და სკოლას აფხაზების სხვა სოფელში გადავიტანთ, იმ სოფელში, სადაც მცხოვრებნი პირ-იქით გვთხოვენ სკოლას და გვეუბნებიან: „ბავშვებს იმდენს შევიყვანთ, რომ კლასში ტევა აღარ იყოსო და საკლასო შენობასაც ჩვენის ხარჯით ავაგებთო“... ამაზედ გადაჭრით პასუხი მოსთხოვა საზოგადოებას. საზოგადოებამ ცალკე მოლაპარაკების შემდეგ მ. ამბროსის მოახსენა შემდეგი: „გთხოვთ, „კლასი“ არ წაგვართვათ, შენობას რიგიანად შევაკეთებთ და ბავშვებსაც უსათუოდ ბლომად შემოვიყვანთ პირველ სექტემბრისათვისაო“.

გარდა ამისა საზოგადოებამ თავის წარმომადგენლების პირით მოახსენა მ. ამბროსის, როგორც მისსიონერს, შემდეგი: „თქვენ გვარიგებთ, ნამდვილ ქრისტიანულს გზას დავადგეთ, მონათლული ვინცა ვართ, ქრისტიანებად ვიყოთ, მარტო სახელით-კი არა, საქმითაც, მოუნათლავ თანა-მოძმეებზედაც ზედ-მოქმედება ვიქონიოთ. უვიც მკითხავებს და „მოლლებს“ არ დავუჯეროთ და სხ. და სხ.“ ჩვენც, შეძლებისამებრ, ვცდილობდით ნამდვილ ქრისტიანებად გამხდარიყავით და თავიდამ აგვეცილებინა საყვედური, რომელიც გაისმის ჩვენზე, „თქვენ, აფხაზები, არც თათრები ხართ, არც კანონიერი ქრისტიანებიო“.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო აქაურ და რუსეთის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რომელნიც უსასყიდლოდ უგზავნიან ჟურნალ-გაზეთებს ჩემდამო ახლად გახსნილ იაფის ფასის ბიბლიოტეკა-საკითხავს. ამასთანავე წრფელს მადლობას ვუთვლი როგორც საქველ-მოქმედო საზოგადოებებს, ისეც კერძო პირებს, რომელთაც თანაგრძნობა აღმოუჩინეს ახალ გახსნილ ბიბლიოტეკას და შემოსწირეს წიგნები რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზედ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთან ერთად მადლობას გადიხდის ის შეუძლებელი და ღარიბი ხალხიც, რომელთათვისაც არის გახსნილი ეს იაფის ფასის ბიბლიოტეკა.

ს. არღუთინსკი-დოლგორუკოვი

## ტომას-ალვა ედისონი

„გენიოსობა მოთმინებააო“, სთქვა ბიუფონმა. ეს ნათქვამი ბიუფონისა იქნება მეტის-მეტად გაზვიადებულიც იყოს, რადგან, აშკარაა, მარტო მოთმინება არა კმარა გენიოსად ყოფნისათვის, თუ ადამიანს ზეგარდმო ნიჭი არა აქვს მომადლებული. ამასთან ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ჭეშმარიტი გენიოსობა უმოთმინებოდ შეუძლებელია, მოთმინებაა ყოველის საქმის ფეხზედ დამაყენებელი და მომმართველი ჭახრაკი. ამიტომ უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა, რომ: „უმოთმინებოდ გენიოსობა შეუძლებელიაო“. ნიჭიერთაც-კი გრძელი გზა უნდა გავლონ მძიმე განსაცდელისა, გაჭირვებისა, რამდენიმე წლიწადი შრომის ოფლი უნდა ჰღვარონ, რომ, დასასრულ, მათი ნიჭი და ჯაფა ჯეროვანად დაფასდეს. დიდებულ კაცთა მაგალითი მჭევრად მეტყველებს, რომ, ბედი-კი არა, მოთმინება, სულ-გრძელობა და გონებრივი ძალა უდგამს საქმეს სულს. ედისონი ამისათვის ერთი უმჭევრმეტყველესი მაგალითთაგანია და იმისი ცხოვრება—ფრიად საყურადღებო და დასაფიქრებელი.

ტომას ალვა ედისონი დაიბადა 1847 წლის 10 თებერვალს ოგაიოს შტატის დაბა მილანში. იმისმა მამამ, შთამომავლობით ჰოლანდიელმა, ბევრი ხელობა სცადა, მებაღედაც იყო, მკერვალადაც, მეწვრილმანედაც, ხარაზადაც და მაინც-კი სიღარიბე ვერ აიცილა თავიდგან. ედისონის დედა თუმცა უნარიანი დედაკაცი იყო, მაგრამ განათლება-კი მაგდენად თვალ-საჩინო არა ჰქონდა მიღებული. ამისდა მიუხედავად იგი რამდენსამე ხანს პირველ დაწყებითს სასწავლებელს განაგებდა და თავისს შვილსაც ჰხელმძღვანელობდა სწავლაში. ედისონის დაბადებისათანავე იმისი მშობლები სოფელ პორტ-გურონს გადასახლდნენ, მიჩიგანის შტატში, და აი აქ გამოიარა თავისი სიყმაწვილე ამ გამოჩენილმა კაცმა.

სიყმაწვილეშივე დიდი უნარიანობა გამოიჩინა ედისონმა. იგი ხარბად კითხულობდა ყველას, რასაც-კი მოიხელთებდა, და ასეთი კითხვა-კი, უხელმძღვანელო, უწეს-რიგო, რაღა თქმა უნდა, დიდს სარგებლობას ვერ მოუტანდა. როცა ტომასი თორმეტის წლისა შეიქმნა, მამამ გამოუცხადა, რომ ეხლა-კი წამოიზარდე და დროა საკუთარის შრომით მოიპოვო ლუკმა-პურიო. და აი, თორმეტის წლის ბავშვი გაამწესეს კანადა მიჩიგანის რკინის გზის შტოზედ გაზეთების გამყიდველად.

მოხერხებულმა ყმაწვილმა ამ მდგომარეობაშიაც იპოვა გზა ხსნისა, ხელ-ქვეითები დაიჭირა, თითონ მეთაურობა დაიწყო და მთელს თავისუფალს დროს ისევე მეცნიერების შესწავლას ანდომებდა. ტვირთის ვაგონის ერთს კუთხეში, სადაც ბინა ჰქონდა მიჩემებული, მთელი ლაბორატორია გაჰმართა, იყიდა შუშები, წამლები, წიგნები და სხ. და თავისდა თავად მუშაობდა და შრომობდა. ამავე დროს განიზრახა გაზეთის გამოცემა, რომელსაც დაარქვა „მთავარ შტოს მოამბე“. ეს გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა და რადგანაც სულ ერთიანად გამომცემლის მიერ იწერებოდა, ამიტომაც ძვირად არა ჯდებოდა, თუმცა არც-კი მოგება მოჰქონდა. შემდეგ მანვე პორტო-გურონში განიზრახა სათხუნჯო ჟურნალის გამოცემა „უბოდიშო პავლე“. ერთხელ ამ ჟურნალში სასაცილოდ იყო აგდებული პორტ-გურონის ერთი მკვიდრთაგანი. ეს ამერიკელი შეხვდა ნორჩს რედაქტორს და ამერიკულადაც გაუსწორდა: წამოავლო კისერში ხელი და რიყიდგან მდინარეში გადაისროლა. თუმცა ედისონმა გამოსცურა და გადარჩა როგორც იყო მდინარეს, მაგრამ ცივს წყალში ამოვლებამ მწერლობის ცეცხლი დაუშრიტა და მაშინვე ბოლო მოუღო თავისს ჟურნალს. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ორივე ჟურნალს ედისონი თითონ აწყობდა. შემთხვევით იაფად იყიდა სტამბის მოწყობილობა და ესეც იმ ვაგონის კუთხეში მოათავსა, სადაც ლაბორატორია ჰქონდა გამართული.

ჟურნალის მოსპობის რამდენისამე ხნის შემდეგ ასეთივე დღე დაადგა გაზეთსაც. ერთხელ ედისონის ლაბორატორიაში რაღაცა წამალს წაეკიდა ცეცხლი და ვაგონმა ბოლება დაიწყო. გამოჩნდა იმ წამსვე ობერ-კონდუქტორი და უბოდიშოდ გარეთ გადმოახვია ფანჯრიდგან იმის სტამბასაც და ლაბორატორიასაც. მეტი ღონე არ იყო, ისევ გაზეთის ყიდვით უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ედისონი ასეთს ბედს არ მოურიგდა, თავი დაანება, ხან ხარაზობა დაიწყო, ხან მეხილეობა და სხ. ამავე დროს თავის განვითარებასაც არა სტოვებდა. ერთმა შემთხვევამ ოდნავ ხელი მოუმართა. ერთხელ ედისონმა მატარებლის ქვეშ მოქცევის განსაცდელს გადაარჩინა ერთი პატარა ბიჭი, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზედ დაცუცუნებდა. ეს ყმაწვილი რკინის გზის სადგურის უფროსის შვილი აღმოჩნდა და იმისმა მამამ, ტომასის მიერ დავალებულმა, ედისონს ტელეგრაფისტის ადგილი მისცა. აქ ყმაწვილმა კაცმა დეპეშის საქმე გაიცნო, მაგრამ სამსახურში-კი ვერა გულ მოდგინეობდა, ყოველთვის თავის ფიქრებში იყო გართული და ამიტომ ხშირად ისე ახდენდა საქმეს, რომ იძულებულნი იყვნენ დაეთხოვათ. მას შემდეგ რამდენისამე წლის განმავლობაში ხან რა ხელობასა ჰკიდებდა ხელსა და ხან—რას. ყველანი ნიჭის გამოისობით სიამოვნებით იჭერდნენ, მაგრამ ისევე მალე ითხოვდნენ გულის-ყურის უქონელობისათვის. სრულს სიღარიბეში გაატარა რამდენიმე წელიწადი, თუმცა ამ ხნის განმავლობაშიაც თვით-განვითარებისათვის იღვწოდა.

ჯერ კიდევ 1854 წელს ფიქრად მოუვიდა იმის მოხერხება, რომ რამდენისამე დეპეშის გადაცემა შესაძლებელი იყოს ერთის მავთულითაო, მაგრამ ეს ფიქრი ვერა სცადა, შეძლება არა ჰქონდა. ამ მდგომარეობაში იყო 1868 წლამდე, ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადადიოდა, ყველაფერს სწავლობდა, ყველაფერს უკვირდებოდა და მუშტრის თვალით სინჯავდა. ამ წელიწადს იგი მოვიდა ნიუ-იორკს და აქ ერთს სამრეწველო ამხანაგობას დიდი სამსახური გაუწია. ამ ამხანაგობას ქარხანაში მაშინა გაჰფუჭებოდა; გაფუჭებულის სწრაფად გაკეთებას მეხანიკოსები არა კისრულობდნენ და ამის გამოისობით ამხანაგობას უშველებელი ზარალი მოელოდა. ედისონმა ერთს წუთას მომართა მაშინა და ამას გარდა დაჰპირდა, ისე გავაკეთებ, რომ ერთი ორად მეტი ხეირი მოგცეთო და თავისი პირობა შეასრულა კიდეც.

ამ დღიდგან ედისონის ბედის ჩარხი წაღმა გადატრიალდა. ამავე დროს აღმოსავლეთის სადეპეშო საზოგადოებამ შეძლება მისცა თავისი პროექტი ეცადნა. ცდამ კარგი შედეგი იქონია. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა და რამდენისამე ხნის შემდეგ ედისონი მილიონის პატრონი შეიქმნა, ხოლო იმისი სახელი-კი მთელს ქვეყანას მოეფინა ქებითა და დიდებით. დიდმა ცოდნამ და გამოცდილებამ, რამდენსამე წელს თრევასა და წანწალში მოპოვებულმა, ყმაწვილს კაცს უქმად არ ჩაუარა და ხშირად ერთს თვეში რამდენიმე ედისონის მანქანა გამოდიოდა და დიდს მოგებას აძლევდა. პენსილვანიის რკინის გზის პაწია სადგურ მენლო-პარს ახლო, ნიუ-იორკიდგან სულ ერთის საათის სავალ ბექზედ, მან სახლი-ლაბორატორია ააგო და დღემდე იქა ჰშრომობს. აქ ყოველივე მოწყობილობა მოიპოვება, რაც-კი საჭიროა სამეცნიერო კვლევისა და ძიებისათვის. ედისონის სამსახურში არიან სხვათა მოძღვარნი, მეხანიკოსები, ქიმიკოსები, მხატვარნი და მრავალნი სხვანი. ამ ლაბორატორიის წლიწადში ერთი მილიონი მანათი ხარჯი სჭირდება, ე. ი. უნივერსიტეტზედ მეტი, და აშკარად სჩანს, რა დიდი საქმეც არის. ამას გარდა, ედისონი ასტრონომიის მოყვარულიც არის და ზემო სართულში გამართული აქვს ობსერვატორია, სადაც ისვენებს და ამ დასვენების დროს ტელესკოპით თვალს ადევნებს ცის მნათობთ.

თუ რამდენად გაითქვა სახელი ედისონისა, ეს იქიდგანა სჩანს, რომ პარიჟის უკანასკნელს მსოფლიო გამოფენაზედ ისეთის პატივით მიიღეს, თითქოს პრინცი ყოფილიყოსო. ამისდა მიუხედავად ედისონი ეხლაც არ ანებებს შრომასა და ჯაფას თავს. დილიდგან საღამომდე დაუღალავს მუშაობაშია, ეგევე ორასამდე საკვირველი რამ მანქანა გამოიგონა და ამიტომ ძალიან შესაძლებელია, რომ მართალი იყოს ის ანეკდოტი, რომელსაც იმის ცოლის შერთვის შესახებ ამბობენ.

ედისონმა ცოლი მაშინ შეირთო, როცა უკვე სახელი დიდი მოიხვეჭა და განითქვა. ამ დროს დიდის სიამოვნებით მისთხოვდებოდნენ ამერიკისა და ევროპის თვით უკეთესი და უმდიდრესი საპატარძლონიც-კი, მაგრამ ედისონმა ეს არ ინდომა და ცოლად შეირთო სულ უბრალო მუშა-ქალი, მერი სტილიუელი, რომელიც იმის ლაბორატორიაში ჰმსახურობდა. ქორწილის დღეს, ჯვარისდაწერის შემდეგ, როცა სტუმრებმა მიულოცეს, ედისონმა ყმაწვილი მეუღლე თავისს სახლში დააბინავა და თითონკი „ერთის წუთით“ ლაბორატორიაში გაიქცა, ერთს მანქანას უნდა დავხედოო. გაიარა ერთმა საათმა, ორმა, სამმა, მოუახლოვდა შუაღამე, მაგრამ ედისონი-კი არსად სჩანდა. მეუღლეს ეგონა, რომ უბედურება რამ დამართნიაო, ასტეხა წივილ კივილი და ხალხი შეჰყარა. კიდამაც ლაბორატორიაში შეიხედა და ჰნახა, რომ ედისონი იქ არის არხეინად, მუშაობით გატაცებული და ფიქრებში გართული. უთხრეს თურმე, რომ ამდენის ხნის დაგვიანებით შენი ცოლი დიდად შეშფოთებულიაო.

— ცოლიო?! შესძახა გაოცებულმა ედისონმა: რა გულ-მავიწყი ვარ! მართლაც-და, დღეს ხომ ჯვარი დავიწერე!..

ეხლა ედისონს ორი შვილი ჰყავს: ვაჟიშვილს დოტი (Dot) ჰქვიან და ქალიშვილს—დეში (Dash). ედისონმა ამ სახელების დარქმევაშიაც ტელეგრაფის სიყვარული გამოიჩინა, რადგან ასეთი სახელები დეპეშის ნიშნებსა ჰქვიან, დოტი—წერტილსა და დეში—პაწია ხაზს.

# დეპეშა

16 მაისი

პეტერბურგი. გუშინ მარსის მინდორზე მისის უდიდებულესობის თანადასწრებით დათვალიერებულ იქმნა ლეიბ-გვარდიის პავლეს პოლკი, რადგან ამ პოლკის არსებობას უკვე ასი წელი შეუსრულდა. 1 ბატალიონს მიუძღოდა დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე და მის უდიდებულესობის როტის კომანდირად იყო მემკვიდრე ცესარევიჩი. პოლკის დათვალიერებისა, აიაზმით პკურებისა და ჯარის დაფიცების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორის ხელით მიიღო ახალი ბაირაღი პოლკის კომანდირმა და გადასცა იქვე მყოფ მუხლმოყრილ მედროშეს. ყაზარმაში უბრალო ჯარის კაცებისათვის გამართული იყო სადილი, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორმა დალია პოლკის სადღეგრძელო. უმაღლესმა სტუმრებმა საუზმე მის უდიდებულესობის როტის სადგომში მიირთვეს. ექვს საათზედ საზამთრო სასახლის ნიკოლოზის დარბაზში ჰქონდათ სადილი.

გუშინ წავიდა კიევს მიტროპოლიტი პლატონი.

სპარსეთთანა აქეთ მოლაპარაკება, რომ ბალფრუშში და ისპაჰანში რუსეთის საელჩოები დაარსდესო.

სმოლენსკის სამეურნეო საზოგადოებამ გაჰგზავნა ბელგიაში და სხვა სახელმწიფოებში თავისი ვიცე-პრეზიდენტი ენგელგარდტი იმ აზრით, რომ პირდაპირი ურთიერთობა დაარსდეს უცხოეთელ ბაზართა და რუსეთის კანაფის მწარმოებელთა შორის.

შემოდგომაზე ბორისოგლებსკში და ეკატერინოსლავში გაიმართება სამეურნეო და შინაურის ხელ-საქმის გამოფენა.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ კერძო ამხანაგობას ნება მიეცა ნავთის გადასატანი მილი გაიყვანოს „ნავთის მთიდგან“ დაწყებული იმიერ კასპიის რკინის გზამდის, მაგრამ ხაზინა-კი ვერ დაეხმარება ამ ამხანაგობასაო.

„Нов. Вр.“ ამბობს, რომ 12 მაისს მოიყვანეს ლევ ტოლსტოი „იასნაია პოლიანა“-ში ავადმყოფიო. ტოლსტოი ახლა გამხდარია, სუსტი და ყვითელი ფერი აქვსო.

ყაზანი. გუშინ პარაკლისის შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ პავლემ, გუბერნატორმა და კომიტეტის თავმჯდომარემ. შემდეგ გაიმართა გამოფენა. ვოლგისა და კამის მრეწველობის ნაწარმოები და ეთნოგრაფიული განყოფილება უკვე შევსებულია.

პეტერბურგი. პავლეს პოლკის აფიცრების სადილზე ზამთრის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა აიღო ჭიქა ამ პოლკის სადღეგრძელოდ. პოლკის კომანდირად ნამყოფმა ინფანტერიის გენერალმა ველიამინოვმა დალია ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოს ხანგრძლივი „ურა“ მოჰყვა.

სოფია. ზრალმდებელი იმ აზრისაა, რომ პანიცა, ხლოპკოვი, პოდპორუჩიკი რიზოვი და არნაუდოვი დაპატიმრებულნი უნდა იქმნენ უვადოდ და დანარჩენებს-კი 15 წლით საპყრობილეში ყოფნა გადაეწყვიტოთო.

ლონდონი. სოფიიდგან დეპეშით იუწყებიან 15 (27) მაისს, რომ პანიცა, არნაუდოვი და რიზოვი სიკვდილით უნდა იქმნენ დასჯილნი და დანარჩენებს-კი 5—10 წლით დაპატიმრება უნდა მიესაჯოთო.

17 მაისი

პეტერბურგი. გვარდიის პოლკის კომანდირს, გენერალ ადიუტანტს მანზეის, 50 წლის საუკეთესო სამსახურისთვის ებოძა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრილიანტის ნიშნები.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ყირიმის ერობას განზრახვა აქვს შეაერთოს დნეპრი აზოვის ზღვასთან არხით, რათა წყალი ამ გუბერნიის ჩრდილოეთს ნაწილშიაც იქმნას გაყვანილიო.

„Нов. Вр.“-ს [illegible]

დამლევს პეტერბურგიდგან წავა ტომსკის გუბერნიაში მთელი ექსპედიცია იქაურ სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად.

„Край“ იუწყება, რომ რადგანაც ქსოვილებს კარგად აკეთებენ ამ ქამად პეტერბურგში, გადაწყვეტილია საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს ბამბის ნაქსოვს დამოქნის გარდასახადი დააწესონ მე-50 №-მდე ოთხ-ოთხი მანეთი, ხოლო ამაზედ მეტს ხუთ-ხუთი მანეთი ფუთზედ.

18 მაისი

პეტერბურგი. პალესტინის საზოგადოების გუშინდელ კრებაზე გამოცხადებულ იქმნა, რომ უმაღლესად დამტკიცდა წესი, თუ როგორ უნდა მოეწყოს რუსის მამული იერუსალიმში, თანხმად იმ გეგმისა, რომელიც წარადგინა დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ. მიეცა აგრეთვე საზოგადოებას უფლება აძლიოს მსურველთ დროებით სარგებლობით, ან თვითააგოს შენობანი იმ მამულებზედ, რომელიც ეკუთვნის იმპერატორის მთავრობას წმიდა ქვეყანაში.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ დამტკიცებულა დებულება იმ პირობითა, რომლის ძალითაც ეძლევათ უფლება სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეთა, რომ იშუამდგომლონ მთავრობასთან, რათა მიეცეთ დახმარება შვილების აღზრდისათვის.

წლის დამლევს ეკატერინესლავში მოხდება კრება როგორც ეკატერინესლავის, აგრეთვე სხვა მახლობელ გუბერნიების სკოლების ინსპეკტორებისა.

„С. Пб. Вѣд.“ იუწყება, რომ გაიგზავნა საერო წყობილების მოხელე სარტოვში იმის გამოსაკვლევად, თუ რაოდენი მამული უჭირავთ სარატოვის გუბერნიაში გერმანელებს, ან რა ხასიათისაა გერმანელი მამულის მფლობელობა იქა.

ტიუმენი. საშინელი ყინვებია. ნაოსნობა ტომსკში ჯერ არ დაწყობილა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 მაისი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გარიგებისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | | „ | 6 | 90 |
| ტრამოტის კუპონები . . | 113 | 82 | | „ | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 08 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 229½ | |
| —მეორისა . . . . . | 213 | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . | 212¼ | | — | „ | 210½ | |
| ვირაგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის ხაურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანეს ძე მუსხელაშვილი და დავით და სიმონ ბესარიონის ძენი ღოღობერიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მობძანდნენ მეშვიდე დღეს გარდაცვალებისა მეუღლისა პირველისა და დისა მეორეთა, ანნა ბესარიონის ასულის მუსხელიშვილისა, დიდუბის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი შაბათს, 19 მაისს, დილის 10 საათზე. (1—1)




ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართულია

ფხვნილი

თმისა და ბალნის მოსაცილებლად

(Poudre dépilatoire)

გ. კ. ბრიუნინგისა, მაინის ფრანკფურტში.

ეს თმისა და ბალნის მოსაცილებელი საშუალება შხამიანი არ არის და სრულიად უვნებელია.

შუშა ჰღირს ბეწვის კალმიანად 2 მან. 50 კაპ., სხვა ქალაქში გაგზავნით 3 მან.

ისყიდება ს.-პეტერბურგს. ალექსანდრე ვენცელთან, ეკატერინეს უბანში № 26. (8—1)

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წელს 17 თებერვალს დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, ამით აცხადებს, რომ 23 ივნისს 1890 წ. დილის 12 საათზედ, ტფილისში ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ გაისყიდება ქვემოხსენებული მამულები ვაჭრობის განუმეორებლად, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შეუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

### ა) სესხნი გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

### 1 ქალაქის მამულები

ოქოევი, გრიგოლ იაგორის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, № 299. თავნი ვალი 3859 მან. 11 კაპ. შემოსატანი 433 მან. 22 კაპ. სულ 4292 მან. 33 კ.

დავიდოვი, ლაზარე ლაზარეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყველა მოწყობილებითურთ და მიწა 1 განყ. 1 ნაწ. თავნი ვალი 3859 მ. 9 კ., შემოს. 332 მ. 52 კ., სულ 4191 მ. 61 კ.

აგოფოვი, აბრამ ოსიფის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $54^{64}/_{100}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 1 განყ. 5 ნაწ. თავნი ვალი 2572 მ. 61 კ., შემოს. 217 მ. 71 კ., სულ 2790 მ. 32 კ.

მებურნუთოვი, დავით პავლეს ძე: ერთ-ნახევარი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის ფლიგელით მიწის ზომა 518 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს ნემეცების კოლონიაში, სადოვის ქუჩაზედ 10 ნაწ. 2 განყ. თავნი ვალი 3568 მან. 64 კაპ. შემოსატანი 341 მან. 79 კაპ. სულ 3910 მან. 43 კ.

ჭავჭავაძე, გიორგი მელიქსედეგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა 2100 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავს. თავნი ვალი 3172 მან. 10 კაპ. შემოსატანი 268 მან. 39 კაპ. სულ 3440 მან. 49 კაპ.

ნერიასოვისა, ელისაბედ არკადის ასულისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს 1 განყ. 1 ნაწ. მოსკოვის ბალკის ზევით. თავნი ვალი 678 მ. 17 კ. შემოს. 94 მ. 76 კ. სულ 772 მ. 93 კ.

მირზაშანოვი, მარია იაკობის ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანო, მიწის ზომა 168 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3390 მ. 23 კ. შემოს. 333 მ. 46 კ. სულ 3723 მ. 69 კ.

ტერ-შმოვანოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელებით და ყოველისავე მოწყობილობით, მიწა ზომით 87 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, მოლინისა და ბებუთოვის ქუჩაზე, № 21, 1 განყოფ. 6 ნაწ. თავნი ვალი 6676 მ. 21 კ. შემოს. 534 მ. 5 კ. სულ 7210 მ. 26 კ.

ტებენკოვი, მიხეილ მიხეილის ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და სხვა მიშენებულის შენობებითურთ, მიწა $313^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს მიხაილოვის 1 ნაწ. 1 განყოფ. თავნი ვალი 20028 მ. 63 კ. შემოს. 1385 მ. 15 კ. სულ 21413 მ. 78 კ.

### II სოფლის მამულები

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: მიწა ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწ. 2 განყ. ქ. ტფილისს. თავნი ვალი 941 მან. 92 კ., შემოს. 121 მ. 48 კ., სულ 1063 მ. 43 კ.,

ზარათოვი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საბოსტნე მიწა 177 დეს. და 1560 ოთხ-კუთხი საჟ ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ ზემო ოძისს. თავნი ვალი 466 მ. 11 კ. შემოს 280 მ. სულ 4346 მ. 11 კ.

ხიმშიევები, ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინე ბეჟანის ასული: სახნავი და საძოვარი მიწა, ზომით 653 დესიატინა 1820 ოთხ-კუთხი საჟენი; ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, ამტნისხევში. თავნი ვალი 4066 მ. 60 კ. შემოს. 251 მ. 58 კ. სულ 4318 მ. 18 კ.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგოლის ძე: სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი, ზომით 548 დესიატინა 1837 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ყიჩიკში. თავნი ვალი 7228 მ. 93 კ. შემოს. 371 მ. 70 კ. სულ 7600 მ. 63 კ.

შიშინაძისა, სოფიო როსტომის ასული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და საბოსტნე ადგილები და ტყე 291 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. დიდ შავთაში. თავნი ვალი 2710 მ. 85 კ. შემოს. 214 მ. 10 კ. სულ 2924 მ. 95 კ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილი, ვენახი და შენობანი, 284 დესიატინა 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ., თელავის მაზრაში, სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი 9190 მ. 31 კ. შემოს. 615 მ. 38 კ. სულ 9805 მ. 69 კ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავ-სათესი, ვენახი და სახლ-კარის ადგილები შენობებით, რომელთაც 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა უჭირავთ ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 8179 მ. 66 კ. შემოს. 724 მ. 84 კ. სულ 8904 მ. 50 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესიატინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის მაზრის სოფ. ბოგვში. თავნი ვალი 2741 მან. 73 კაპ. შემოსატანი 223 მან. 58 კაპ. სულ 2965 მან. 35 კაპ.

ამილახვრები ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული: და ტაზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული: სახნავი და სამოსახლო ადგილები 33 დეს. 320 ოთხ-კუთხი საჟ გორის მაზრის სოფ. ქრაკალში. თავნი ვალი 1378 მან. 29 კაპ. შემოსატანი 138 მან. 80 კაპ. სულ 1517 მან. 9 კაპ.

მელიქოვი, ივან ალექსანდრეს ძე: სახნავი ადგილი და ტყე; ზომით 2365 დეს. 364 ოთხ-კუთხი საჟ ტფილ. გუბერნ. და მაზრაში პუსტაშისს, გალუტალასა, მუსხანკას მავმუტალას, ხუჯაბასა და სხ. თავნი ვალი 12864 მან. 17 კაპ. შემოსატანი 799 მან. 38 კაპ. სულ 13663 მან. 55 კაპ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესიატინა და 876 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ახალ-ქალაქისა და კავთიხევის მახლობლად და ავ. მანგლისში. თავნი ვალი 6431 მან. 52 კაპ. შემოსატანი 451 მან. 98 კაპ. სულ 6883 მან. 50 კაპ.

კალატოზოვი, ვასილა აბელის ძე: სახნავ-სათიბი ადგილი და ტყე, ზომით 37 დესიატ. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 1378 მ. 29 კ. შემოს. 138 მ. 80 კ. სულ 1517 მ. 9 კ.

სალაროვი, იასე ქარხოსროს ძე: სახნავ-საძოვარი და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 212 დეს. 150 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში პუსტაშის მონასტერს. თავნი ვალი 1837 მ. 76 კ., შემოს. 92 მ. კ. 80 სულ 1930 მ. 56 კ.

ქობულაშვილები, სოლომონ, იოსებ და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 823 დესიატინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 9188 მ. 68 კ., შემოს. 432 მ. სულ 9620 მ. 68 კ.

ორბელიანი, ალექსანდრე ივანეს ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები, ზომით 2189 დესიატინა 1987 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, აგარაკთ: წინანაურსა, კასალარსა და ბაშკიჩეტს. თავნი ვალი 32160 მ. 40 კ., შემოს. 2002 მ. სულ 34162 მ. 40 კ.

კაზნაძე, იოსებ რევაზის ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 663 დესიატინა ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ ბარემკალას. თავნი ვალი 2756 მ. 60 კ. შემოს. 198 მ. 58 კ. სულ 2955 მ. 18 კ.

კასხასხოვისა, ეკატერინე გიორგის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 308 დესიატინა 555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზრას, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 2756 მ. 60 კ., შემოს. 252 მ. 64 კ., სულ 3009 მ. 24 კ.

ზეინალოვები, ალეკპერ და ისმაილ: სახნავი და საბალე ადგილები, 388 დესიატინა 250 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოში, შულავერის ადმინისტრაციულს განყოფილებაში, ახალ მალთუთნუს საპრისტაოში. თავნი ვალი 4594 მან. 34 კაპ. შემოსატანი 220 მან. სულ 4914 მან. 34 კაპ.

გედევანოვი, მერაბ იოსების ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი მინდვრები 60 დესიატინა 110 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, აგარაკს მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 551 მან. 32 კაპ. შემოსატანი 57 მან. 11 კაპ. სულ 608 მან. 43 კაპ.

ესავე და არჯევანიძოვი წინად ციციშვილთა: სახნავი მიწები და ტყე 234 დესიატინა 1368 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საგურამოს. თავნი ვალი 6465 მან. 62 კაპ. შემოსატანი 304 მან. 80 კაპ. სულ 6770 მან. 42 კაპ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, 1292 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აბულმუგში. თავნი ვალი 5569 მ. 86 კ. შემოს. 324 მ. 5 კ. სულ 5893 მ. 91 კ.

ჭავჭავაძე, ზაქარია გულბაათის ძე: სახნავი ადგილები და ტყე 660 დეს. 1800 კვადრ. საჟ ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრის სოფ. ბოტკოს. თავნი ვალი 11139 მ. 69 კ. შემოს. 518 მ. 80 კ. სულ 11658 მ. 49 კ.

მელიქოვისა, მარიამ გიორგის ასული სახნავი, საძოვარი, სათიბი და სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 1559 დესიატინა 760 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბ. და მაზრას, ზოფ. თოხლიკილისსა, სადახლო და ქვემო ცოპსა. თავნი ვალი 26497 მ. 41 კ. შემოს. 1526 მ. 24 კ. სულ 28023 მ. 65 კ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: საძოვარი, ხეხილიანი ვენახი და შენობანი 87 დესიატინა 960 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ქვემო-ნიჩბისში. თავნი ვალი 3796 მ. 61 კ. შემოს. 390 მ. 49 კ. სულ 4187 მ. 10 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები 1434 დესიატინა 1120 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, მუსიყალაში და შინდლიარში. თავნი ვალი 10440 მ. 24 კ. შემოს. 548 მ. 85 კ. სულ 10989 მ. 9 კ.

აბაშიძე, ზურაბ დავითის ძე: სახნავი მიწა, ზომით 1000 დესიატინა, ტფილისის მაზრაში, ბორჩალოში, სოფ. ხანჯაგალას, გაზლოსა და მამჯალას. თავნი ვალი 5694 მ. 71 კ. შემოს. 590 მ. 20 კ. სულ 6284 მ. 91 კ.

თარხან-მოურავისა, ელენე ალექსანდრეს ასული: სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 545 დესიატინა 1645 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, სოფ. სათუხარლოში. თავნი ვალი 6358 მ. 81 კ. შემოს. 283 მ. 23 კ. სულ 6642 მ. 4 კ.

სმიადოვი, ვასო ეფრემის ძე: სახნავ-სათიბი ადგილები, ზომით 145 დესიატინა 1756 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და გორის მაზრას, სოფელ ნაწრეტს. თავნი ვალი 2847 მ. 33 კ. შემოს. 131 მ. 21 კ. სულ 2978 მ. 54 კ.

გედევანოვი, კონსტანტინე დავითის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები 89 დეს. 2046 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიის, ტფილისისავე, დუშეთისა და გორის მაზრის სოფლებში: მუხათ გვერდს, საგურამოს და სასხორს. თავნი ვალი 759 მ. 30 კ. შემოს. 75 მ. 60 კ. სულ 834 მ. 90 კ.

შალიკოვი, ალექსანდრე რაჟდენის ძე: სახნავ სათიბი ადგილები და ტყე 394 დეს. 620 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფ. სკრას. თავნი ვალი 3796 მ. 46 კ. შემოს. 205 მ. 90 კ. სულ 4002 მ. 36 კ.

ერისთავი, ესტატე მირიმანოზის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები 280 დესიატინა, 2006 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ახსისში. თავნი ვალი 7592 მ. 84 კ., შემოს. 605 მან. 24 კ. სულ 8198 მ. 8 კ.

სულხანოვი, სალომე იოსების ასული: სახნავი მიწები, ვენახი, საბოსტნე ადგილები და შენობები 148 დესიატინა 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 6562 მ. 45 კ., შემოს. 768 მ. 2 კ. სულ 7330 მ. 47 კ.

ზოლტარაცკი, ივანე ევნატეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, სამზარეულოთი და სხვა შენობებით, ეზოთი, წყაროს წყლით და ერთ დესეტინამდის მიწით. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 1875 მ. 4 კ. შემოს. 179 მ. 61 კ. სულ 2054 მ. 65 კ.

წერეთელი, ბაგრატ მიხეილის ძე: საძოვარი ადგილები და ტყე, 1020 დესიატინა 1920 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ზემო-ხოდაშენთან. თავნი ვალი 8276 მ. 63 კ., შემოს. 664 მ. 90 კ. სულ 8941 მ. 53 კ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე: სახნავი, საძოვარი და სამოსახლო მიწა 148 დესიატინა 1869 ოთხ კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ოქროყანაში. თავნი ვალი 5172 მ. 66 კ., შემოს. 432 მ. 9 კ. სულ 5604 მ. 75 კ.

თარხან-მოურავი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე: სახნავი, საძოვარი და საბოსტნე ადგილები და სათიბი, ზომით 233 დესიატინა და 956 ოთხკუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ლისში. თავნი ვალი 5172 მ. 66 კ., შემოს. 233 მ. 9 კ., სულ 5406 მ. 57 კ.

სალაღოვი, იასე ქაიხოსროს ძე: სახნავ-სათესი ადგილები 25 დესიატ. 1620 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. კუმისს. თავნი ვალი 943 მ. 43 კ. შემოს. 92 მ. 56 კ. სულ 1035 მ. 99 კ.

ხიზანოვი, და სხვები: სახნავი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 714 დესიატინა 1320 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თავნი ვალი 2547 მ. 30 კ., შემოს. 116 მ. 43 კ., სულ 2663 მ. 73 კ.

გაბაშვილი, პავლე პეტრეს ძე: სახნავ-საძოვარი და სათიბი ადგილები, ზომით 310 დესიატინა 479 ოთხკუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, აგარაკს საგაბაშვილოს. თავნი ვალი 3773 მ. 93 კ., შემოს. 172 მ. 30 კ., სულ 3946 მ. 23 კ.

ავ სარქისოვი, ფარსადან იაკობის ძე, იარალოვი, ხერგეი ივანეს ძე და ფირო და მელქისედექ ოსეფის ძენი: სახნავი, სათიბი და საძოვარი, 673 დესიატინა 866 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ სკრაში. თავნი ვალი 12265 მ. 19 კ., შემოს. 543 მ. 99 კაპ., სულ 12809 მ. 18 კ.

ბაისოღლოვი, ვასილ ლომინისძე: სახნავ-სათიბი და საძოვარი ადგილები 208 დეს. 378 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. წყნეთს. თავნი ვალი 4245 მ. 42 კ., შემოს. 106 მ. 31 კ., სულ 4351 მ. 73 კ.

გედევანოვები, სოლომონ და ელისაბედ დავითის ძენი: სახნავ სათიბი და საძოვარი ადგილი, 111 დეს. 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. მუხათ გვერდს. თავნი ვალი 943 მ. 94 კ., შემოს. 92 მ. 52 კ., სულ 1036 მ. 46 კ.

ყარაევი, ნიკოლოზ ანდრიას ძე: სახნავ-სათიბი ადგილები, ზომით 142 დესიატინა 1310 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, სოფ. წავკისს. თავნი ვალი 3868 მ. 62 კ., შემოს. 176 მ. 42 კ., სულ 4045 მ. 4 კ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე: სახნავ-საძოვარი და სამოსახლო ადგილები, 178 დესიატინა, 2011 ოთხკუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილოსა და თხინვალში. თავნი ვალი 2830 მ. 41 კ., შემოს. 195 მ. 79 კ., სულ 3026 მ. 20 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, საბალახე და ტყე 1977 დესიატინა 1280 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, ძველ დმანისში, საფარლოს და ვართიევანის სოფლებში. თავნი ვალი 13208 მ. 28 კ., შემოს. 612 მან. 23 კ., სულ 13820 მ. 51 კ.

## ბ) სესხნი გამოცემულნი ურთიერთობრივის თავდებობით.

### I ქალაქის მამულები

მაჭავარიანისა, მარინე ივანეს ასული: ხეხილიანი ბაღი და ეზო, ზომით 460 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. ტფილისს, მე-10 ნაწილსა და 2 განყოფილებაში. თავნი ვალი 7053 მ. 92 კ., შემოს. 422 მ. 68 კ., სულ 7476 მ. 60 კ.

პარუნ-სარქისოვები, ეგორ და ონან ეგორის ძენი: ორი ქვითკირის სახლი: ერთი ორ-სართულიანი სარდაფით და მეორე ერთ-სართულიანი სარდაფითურთვე, მიწა 148 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, 1 განყოფილების მე-5 ნაწილი. თავნი ვალი 25809 მ. 67 კ., შემოს. 1750 მ. 69 კ., სულ 27560 მ. 36 კ.

ფარესოვისა, ნატალია აბრამის ასული: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ყოველივე მოწყობილობით და 110 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში 2 ნაწილში, ხევის ქუჩაზედ, მთა-წმინდაში. თავნი ვალი 8927 მ. 89 კ., შემოს. 1817 მ. 64 კ., სულ 10745 მ. 53 კ.

ბარნოვი, მიხეილ ვასილის ძე: ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი საჯინიბო სარაითურთ და მიწა $199^4/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟენი, 3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, იარმუკის შესახვევში. თავნი ვალი 5744 მ. 11 კ., შემოს. 369 მ. 26 კ., სულ 6113 მ. 37 კ.

